

სარგბიედი

ქართული
პრესა

სპორტული გაზეთი

სუთვაბათი 23 დეკემბერი, 1999 №246 (109)

ფასი 50 თეთრი

ჩივამის ბასროლა

აკაკი დევამეს
მეტოქის
ნახევრიდან გაუტანეს


სამი პერსია

ვინ სცემა მოლდოვას
ნაგრების კაპიტანს?

აფრიკელთა თავბადასავალი ამერიკაში

სად მიდიოდა
ზამბიის ნაგრები?

წელი საპრიზო სარგბიედი



სამი ორგანიზაცია: ყველა
წონა, ყველა ჩემპიონი

რაფაელდუმი საქართველოს საუბუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ
ლაურეატებს




მაია
აზარაშვილი

62 500 000 \$

ამ ფულად ფეხბურთელი ჯერ არ გაყიდულა.
ლასიო ბარსას ჩივალდოში ამდენს სთავაზობს

REUTERS პარსელონადან



გუშინ ვან გაალმა რივალდო (მარცხნივ) არ ათამაშა ბრაზილიელს უკვე მსურველებიც გამოუჩნდნენ

62 მილიონ 500 ათასი დოლარი რივალდოში — იტალიური გაზეთების ცნობით, რომის „ლაციო“ ევროპის 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელის სანაცვლოდ „ბარსელონას“ სწორედ ასეთი თანხას სთავაზობს. საკუთრივ რივალდომ გუშინ, ესპანეთის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ კატალონიის დედაქალაქიდან არსად აპირებს წასვლას.

ასეა თუ ისე, ოდესმე შედგება აღნიშნული გარიგება თუ არა, ფაქტია, საქმე ახალ სატრანსფერო რეკორდს ეხება. დღემდე ფეხბურთელში გადახდილი ყველაზე დიდი თანხა გახლდათ 49,5 მილიონი — კრისტიან ვიერის ტრანსფერი „ლაციოდან“ „ინტერში“.

რივალდო გუშინ საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში სხვა მიზეზითაც მოექცა: ნუხელ ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრაში „რალიო ვალეკანოსა“ და „ბარსელონას“ შორის იგი არ ათამაშეს. ჩვეულებრივ, ეს ამბავი არც უნდა ქვეუღიყო საგანგებო აუიოტაჟის საგნად, რომ არა სამი ერთმანეთს მიყოლებული გარემოება:

გასულ შაბათს „ატლეტიკოსთან“ შეხვედრისას (2:1) რივალდო მეორე ტიმიში შეცვალეს. ხალხმა უსტყვნა, ფეხბურთელმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ღამე თერთად გაათენა, სცადა პრობლემის არსს ჩასწვდომოდა და სწორედ მაშინ გადაწყვიტა, რომ მარცხენა ფრთაზე თამაში არ სიამოვნებს, ვინაიდან მისი ბუნებრივი როლი მოედნის შუაშია.

ორშაბათს პარიზში „ფრანს ფუტბოლმა“ რივალდო „ოქროს ბურთით“ ანუ ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულით დააჯილდოვა.


სამშაბათს „ბარსელონას“ მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა განაცხადა, რომ აღშფოთებულია ფეხბურთელის პრეტენზიით ამპლუსის გამო და მას სჯის — „რალიო ვალეკანოს“ წინააღმდეგ არ ათამაშებს.

„მართალია, გასახდელში ვთქვი, რომ მარცხენა ფრთაზე თამაში აღარ მინდა. სიტყვები თანაგუნდელთა და გუნდის მწვრთნელთა სრული პატივისცემით წარმოვთქვი. გულიდან აღმომხდა, ორი წელიწადია, ჩემი სურვილი მსხვერპლად მაქვს შეწირული, მაგრამ აგერ, უკვე 27 წლისა ვარ და მსურს „ბარსელონას“ დაუზარალებლად საკუთარი სიამოვნებისთვისაც ვითამაშო. ვიმეორებ, კლუბის ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას უმთავრეს მიზნად ვისახავ“ — თქვა რივალდომ ტელეინტერვიუში, მის გარეშე კი „ბარსელონამ“ მადრიდში, „რალიო ვალეკანოსთან“ 1:1 ითამაშა.

ქართველებიც დაინტერესდით ამ ბეზრების საქმეებით?

— გაიკვირვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გაზულუქებულ დიდმოხელეთა უპირველესმა და დაუბნებელმა მტერმა, ინგლისელმა ჟურნალისტმა ენდრიუ ჯენინგსმა და ესეც ივარაუდა, ტყუილია ეს აურზაური, ამათ მაინც არაფერი უშველებათ. აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა პენრი კისინჯერმა კი სოკ-ი გააფრთხილა, თუ ბევრი რამ არ შეცვალეთ, მსოფლიო საზოგადოებრიობის მხარდაჭერა მოგაკლდებათ და ოლიმპიზმის პერსპექტივას პრობლემები შეექმნებათ.

ემზარ ზენაიშვილის რეპორტაჟი სოკ-ის 101-ე, ლოზანის სესიიდან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე



საპარტიველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელების დანიშვნასთან ერთად, მოგვხსენებთ, მწვრთნელთა საბჭოს შექმნაც ინება, გამოცდილ სპეციალისტებს გაერთიანება და ნაკრების თავაჯებთან თანამშრომლობა სთხოვა, მათი თავმჯდომარეობა კი — ალექსანდრე ჩივაძეს.

საბჭოს წევრთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, სიაში 50-მდე გვარია, დაწყებული ვლადიმერ ელოშვილიდან დიმიტრი კუდინოვამდე, რომელმაც მწვრთნელობა ახლახან დაიწყო. ნაკრების თავაჯებებს რომ ჰკითხოთ, ფედერაციამ ძალიან კარგი საქმე გააკეთა. ისინი მიესალმებიან ანდონი მწვრთნელის თანადგომას. დავით ყიფიანის თქმით, ის და ძობაშვილი საბჭოს თითოეულ წევრს ყურს დაუვადებენ, მათ აზრს გაიზიარებენ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას თავადვე მიიღებენ. შესაძლოა კოლეგიათაგან ბევრი რამ ვისწავლოთ, თქვა ამას წინათ ყიფიანმა.

რამდენიმე დღის წინ საბჭომ შეკრების დღეც დათქვა — 22 დეკემბერი, „მეტეხი“.

მწვრთნელები გუშინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მათ ფუნქციები უნდა გაენაწილებინათ და ეროვნული გუნდის თავაჯების მიერ ჩამოწე-

მწვრთნელები შეიკრიბნენ, მწვრთნელებმა თქვეს...

რილ 40-50 ნაკრების კანდიდატზე თავიანთი აზრი გამოეთქვათ.

შეკრება კარგა ხანს გაგრძელდა. მწვრთნელებმა თავდაპირველად საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი თამაშები შეაფასეს. რას იტყვოდნენ, აბა, ამას რა დაწერა უნდა, თავადაც ხომ იცით, ნაკრები როგორც თამაშობდა.

ოთარ გაბელიასა და სერგო კოტრიკაძეს ნაკრებისთვის გამოსადეგ შეკარეთა მეთვალყურეობა დაეკალათ. გვარამძე, გრიშაკაშვილი, ტოგონიძე, ლომია — ეროვნული გუნდის უმთავ-

რესი კანდიდატები არიან. მწვრთნელთა საბჭომ ფედერაციას სთხოვა, გაბელიას ხელი შეუწყოს და მოსამზადებელ პერიოდამდე ერთი კვირით ადრე ლეგიონერ შეკარეთა თამაშის ნახვის საშუალება მისცეს.

კიდევ მომავალ სანაკრებო კალენდარზეც ილაპარაკეს.

სტატიისტიკა მოიშველიეს და ერთ აზრამდე მივიდნენ — ეროვნული გუნდი თურმე ყველაზე კარგად შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში თამაშობს. რუმინელებთან და იტალიელებთან

გაჯიბრებაც ამ პერიოდში სჯობს, თანაც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ისინი ჩვეულ ფორმაში იქნებიან, ლიტველებთან უნდა შეხვედნენ, ეს მოლოდინი უკეთესი იქნება.

გუშინდელ შეკრებას საბჭოს წევრთა უმეტესობა არ ესწრებოდა. სულ 15-მდე კაცი იქნებოდა. მორიგ შეხვედრაზეც შეთანხმდნენ — გაისად, 4 იანვარს, თითოეულმა მწვრთნელმა თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობა უნდა შეაფასოს. გუშინ ამაზე არაფერი თქმულა, სამომავლოდ გადადეს.

40-50 კანდიდატს შორის კი ძველებიც არიან, ახლებიც. სიაში ის ფეხბურთელებიც მრავლად მოხვდნენ, რომელთაც შედეგების 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშეს.

ერთი სიტყვით, მწვრთნელთა საბჭო საქმეს შეუდგა და რაც მეტ ჭკვიანურს ეტყვიან ეროვნული გუნდის თავაჯებს, მით უკეთესი და ნაკრების ხელმძღვანელებიც თუ მართლაც გათვალისწინებენ, მას საწინააღმდეგო რაღაც უნდა გვექონდეს.

4 იანვრის შემდეგ კი, ალბათ, საკვიპროსის შემადგენლობასაც გამოაცხადებენ.

კობა ინასარიძე



ძობაშვილის დამოძღვრებულმა „ლოკომოტივმა“ პირველად მოიგო



გიორგი დემეტრაძემ „ოლიმპიკს“ ხუთჯერ გაუტანა

ჩივაძის ბასროლა ფედერაციას დენთი გამოუღია

„ბენდელას თასის“ ტრადიციული ტურნირის მეორე დღემ ერთობ დაძაბულად ჩაიარა. განსაკუთრებით დრამატულად კი დილის 11 საათზე დაწყებული მატჩი წარიმართა. მეოთხე ჯგუფში გუშინწინდელი გამარჯვებულები „თბილისი“ და „ნაძალადევი“ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. პირველი ოცწუთიანი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. მეორე ნახევარში ნაძალადეველებმა კუთხურის გათამაშების შედეგად ანგარიში გახსნეს. გოლი თოლორაძემ გაიტანა. თბილისელმა გიორგი მიქაძემ 5 წუთში ალადგინა წონასწორობა.

ამის შემდეგ თოლორაძემ საჯარიმოში წაქცივისთვის დანიშნული შეიდმეტრიანი „ნაძალადევის“ მეკარემ, აკაკი დევაძემ გარდასახა გოლად და თანაგუნდელები კვლავ დაწინაურა. თუმცა ორ წუთში ბურღულმა და მიქაძემ კარგად გათამაშებული კომბინაციათი თავბრუ დაახვიეს მეტოქე მცველებს და ბურღულმა დევაძეს შანსი აღარ დაუტოვა — 2:2. შეხვედრის დრამატული დასასრულის მოთავე თბილისელთა მცველი სანდრო ჩივაძე გამოდგა მან საკუთარი ნახევრიდან მაღალი გაისროლა „ნაძალადევის“ კარის საჯარიმოში. ბურთისთვის ბრძოლაში მიქაძე და დევაძე ახტნენ ერთდროულად. გამოცდილმა მეკარემ ბურთის ხელში დაჭერა ვერ მოახერხა და იგი ბაღემი გაეხვია — 3:2. ეს იყო და დევაძე კარში აღარ ჩამდგარა, ბოლო ორი წუთი მეტოქის ნახევარზე გაატარა. ნაძალადეველთა მასირებულ შეტევებს შედეგი არ მოუტანია. არ გაეხვია მატჩის ანტიგმირი — დანაშაულებით თქვა შეხვედრის შემდეგ აკაკი დევაძემ.

რაც შეეხება ამ ჯგუფის მეორე მატჩს, რომელიც საღამოს 6 საათზე გაიმართა, სფფ-ს გუნდმა სიურპრიზის შემთავაზება მოინდომა. პირ-

ველი ნახევარი მოუფო კიდევ „ლოკომოტივს“, თუმცა სამარტაფოების ფაქტობრივად არცოლამ, თავისი გაიტანა და დადლილმა ლევან ყიფიანმა და კომპანამ ველარაფერი მოუხერხეს ძობაშვილის შევირდებს. სხვათა შორის, მიხია სპორტის სასახლეში მხოლოდ შეხვედრის პირველი ოცწუთიანის მიწურულს გამოჩნდა და შესვენებაზე გვარინად დამოძღვრა ბიჭები...

აი, ალექსიძის გუნდს „ვერას“ კი ჯერჯერობით მწვრთნელის დარიგება არც სჭირდება. ფეხბურთელები უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს. სოლოლაკელებთან პირველ ორ წუთში მოითავეს საქმე, როცა 3:0 დაწინაურდნენ. ბიჭები, ყველაფერი კარგაა, ოღონდ უფრო „ჟოსტკად“ ითამაშეთო — ხუმრობდა მწვრთნელი ალექსიძე შესვენებაზე.

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. „არსენალმა“ კონტრშეტევაზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოუფო „ზოოვეტს“.

მსგავსი ხასიათის თამაში ვიხილეთ პირველ-ჯგუფულ იბერიელებსა და მოყვარულთა ნაკრებს შორის. ისე, ამ ჯგუფს თამამდ შეიძლება „სიკვდილის ჯგუფი“ ეწოდოს. თუ რატომ, მობრძანდით დღეს სპორტის სასახლეში და თავად დაწვინდებით...

„ბენდელას“ და 16-წლამდელი ოლიმპიელების შეხვედრაში ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა. რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი დემეტრაძემ რაც იქაურ გათამაშებაში დაიკლო, გუშინ აისრულა და 5-ჯერ შეარხია ჭაბუკების კარის ბაღე. დემეტრაძე, „ვერელი“ დავით მუჯირის მიერ გაკეთებული ჰიჯერის შესახებ შეიტყო და გაიფიქრა — ბომბარდირის სახელს შენარჩუნება და გაფრთხილება სჭირდება... თუმცა რაც დემეტრა-

რის ძელებს ურტყა ბურთი, ყველა რომ ბაღემი გახვეულიყო, ოლიმპიელების ცოდვა უთუოდ დიდ ფეხბურთში უწევდა...

მესამე ჯგუფში სოსო ფრუიძის მეორე იბერიელებმა კვლავ 2:3 წააგეს და ისლა დარჩენიანთ, დღეს პირველ თანამოსახლეებს უქომაგონ.

ამ ჯგუფის მეორე მატჩით ტურნირის გუშინ-

ნდელი დღე დასრულდა. მინდორზე უძლეველ და მარად ჩემპიონ „დინამოს“ ხელგუნურ საჯარზე მინის თამაში უხელდება. „მეტეხი“ კი მეორე ჯგუფში ვახტანგ გორგასლის ზეალმართული ხმალივით ელვარებს და „შერატონ პალასივით“ ვარსკვლავებს ეთამაშება...

ხვიჩა სანიკიძე

ბენდელას თასი

პირველი ჯგუფი		მესამე ჯგუფი	
იზირია 1:0 მოყვარულები		იზირია II 2:3 ლიფარი	
გ. გიგაძე — (იბერია I)		მუმლაძე, თოთარაშვილი — (იბერია II)	
ბენდელა 1:0 ოლიმპიკი		ალთუნაშვილი 2, ხეფერთელაძე — (ლიფარი)	
დემეტრაძე 5, ტყავაძე 3, ჭიჭვიშვილი 2, ანაბაძე — (ბენდელა)		ლინამო 0:4 გიბანი	
იბერია I 2 2 0 0 6:1 6		დ. ხომერიკი, სოსელია, ზირაქიშვილი, ჭიბრიშვილი — (მეტეხი)	
ბენდელა 2 1 0 1 13:3 3		მეტეხი 2 2 0 0 7:2 6	
მოყვარულები 2 1 0 1 3:3 3		ლიფარი 2 1 0 1 4:5 3	
ოლიმპიკი 2 0 0 2 1:1 0		ლინამო 2 1 0 1 3:5 3	
		იბერია II 2 0 0 2 4:6 0	
მეორე ჯგუფი		მეოთხე ჯგუფი	
ზოოვეტი 0:1 არსენალი		თბილისი 3:2 ნაძალადევი	
მანკავა — (არსენალი)		გ. მიქაძე, ბურღული, ჩივაძე — (თბილისი)	
ვერა 8:1 სოლოლაკი		თოლორაძე, დევაძე (3) — (ნაძალადევი)	
დ. მუჯირი 4, რევაზიშვილი 2, ქემოკიძე, ხუციშვილი — (ვერა)		ლოკომოტივი 5:1 სფფ	
ხაჩიძე — (სოლოლაკი)		ა. ჯელაძე 2, ბაბაშვილი, ბაქრაძე, იაგორაშვილი — (ლოკომოტივი)	
ვერა 2 2 0 0 11:2 6		ფირცხალავა — (სფფ)	
ზოოვეტი 2 1 0 1 2:1 3		თბილისი 2 2 0 0 13:4 6	
არსენალი 2 1 0 1 2:3 3		ნაძალადევი 2 1 0 1 6:3 3	
სოლოლაკი 2 0 0 2 1:1 0		ლოკომოტივი 2 1 0 1 5:5 3	
		სფფ 2 0 0 2 4:15 0	

კაცია კველი კაცია

— თსუ-ს მთავარ მწვრთნელობას გაცილებით ადრეც მთავრობდნენ, მაგრამ მათ მს.წლამდელთა ნაკრებში ვახტანგ კობალეიშვილს ვერც კერძოდ ვერ მივატოვე და ეს საქმე ამიტომაც არ გამოვიდა...

— რამდენ ხანს ფიქრობდით? — ზუსტად ერთი კვირა, ყველაფერი სათანადოდ გააანალიზე და თანხმობაც ამის შემდეგ განუცხადე თსუ-ს...

— ამასვე ალბათ, კობალეიშვილის ფაქტორზე იტონია გარკვეული გავლენა. — რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ ისევ ვახტანგის გვერდით ვიმუშავებ...

— დაგვებოლი გვაქვს ორი საწვრთნელი შერევის მოწყობა როგორც იცით, მხარში ვვიდვას ტრანსკავკასიური ვეტერინარული კორპორაცია და მათი შეწყვენი პირველ შეკრებას

თსუ-ს ახალი მწვრთნელი მკაცრ უფრო სწორად, სტუდენტურ კლუბშიც მწვრთნელთა ტანდემი იმუშავებს, ოღონდ ეროვნული ნაკრების განსხვავებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის და ტრანსკავკასიური ვეტერინარული კორპორაციის შილაბობით საქმეს ვაცილებით სოლიდური და მიღებული ფორმით მიუდგნენ და გუნდში მოსულ ორ ახალ მწვრთნელს ფუნქციები გაუნაწილეს...



თენგიზ კაცია (მარცხნივ) და ვახტანგ კობალეიშვილი თსუ-შიც ერთად არიან

— დიას, ასეა, ამ გუნდის თამაშებს სისტემატურად ვესწრებოდი, რადგან მისმა ძირითადმა ბირთვმა თავის დროზე ჩვენს ხელში გაიარა ახალგაზრდული გუნდი, მონდობით ბიჭები არიან და სწორი მუშაობის შედეგად ბევრსაც მიაღწევს...

ოთხეულში მოხვედრა გერ შეძლო. — ამ გუნდის წევრები ფაქტობრივად, ბავშვთა ფეხბურთიდან ჩაებნენ პირველი ლიგის ჩემპიონატი და სრულიად სხვა დონეზე მოუხდათ თამაში...

მერანს გამკითხავი აღარ დარჩა

საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მერვე ეტაპს ეს კლუბის ნაცვლად, ალბათ, 15 გააგრძელებს. თუ რამ სასწაული არ მოხდა, თბილისის „მერანი“ დაიშლება...

ციტა ხნის წინ „მერანი“ პირველ მერცხლად მოეწიათ. ვკვნიდა ვიდევ ამის საბაბი. ავტომატურად საგაზაფხულო საზადისი პირველი ლიგის გუნდებიდან ყველაზე ადრე დაიშლებს...

რაც კი არ შეუსვენიათ, გუნდი თემურ ჩხაიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა, თუმცა ამან დიდხანს არ გასტანა. თემურ ჩხაიძე 4-5 დღის წინ „მერანიდან“ წავიდა...



პირველი ეტაპისთვის „მერანი“ ასე ემზადებოდა, რა იქნება ამ ზამთარს, გაურკვეველია

გაზ მოქაშვილის თანამშრომელ მუშაობას შეუდგა. „მერანი“ კი უმწვრთნელოდ და უხელმძღვანელოდ დარჩა. გუნდს მხოლოდ ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძე შერჩა...

ჩხაიძის წასვლის შემდეგ მერანელები კვლავაც ვარჯიშობენ, თუმცა ყოველგვარი მოსამზადებელი გეგმის გარეშე ფეხბურთელები „სინათლის“ სტადიონზე იკრიბებიან-ხოლმე და ინდივიდუალურად ემზადებიან. მათ ჩემპიონატის ვარჯიშება კი სურო, მაგრამ ეს ამბავი სურვილზე მეტად ფინანსებზე რომ არის დამოკიდებული, ყველასათვის ცნობილია...


ლევან სილაგაძე ალანიელია

ბავშვული ვახან კიკელი-განდელი შიკარად მთქვენი ვახანის ოთხთა დაკლებლდა. ვინ იცის, იქნებ ოთხთაღმეც ოთხეულითა მკურანე არა შედგებია...





ლევან სილაგაძე ალანიელია

ბავშვის საქართველოს ნაკრების მცველი ლევან სილაგაძე ოფიციალურად განხდა ვლადიკავკაზის „ალანიას“ წევრი. ამის შესახებ განაცხადა ვლადიკავკაზური კლუბის გენერალურმა დირექტორმა...



თბილისი

«ა» ზონა



თბი-ლი-სო! ძარს გაატანა უნდო ნადვლი...

306 იცის, რამდენი სიძნელე მოსდევს თან დებიუტანტობას...

რა შეიძლება ითქვას დინამოელთა უმცროს მძევეზე — თბილისის „თბილისზე“...


იციოდნენ ბევრი რამ, კერძოდ კი ის, რომ მეტად ძლიერ გუნდებთან მოუწყვლად...

Table with 2 columns: Team name and Score. Lists various football teams and their results.

Table with 2 columns: Player name and Statistics. Lists players and their performance metrics.



ბას მოითხოვს... რომ მომავალი წინაა... ყველაზე მთავარიც ეს გახლავთ — მომავალი წინაა.



რამაზ მუშლაძე

ამ ნიჭიერი ბიჭების მომავალში კი ეჭვი არავის შეეპაროს — მათი გუნდისთვის იყო, ქართულ ეროვნულ ნაკრებს გადაყოლილი მორიგი მწვერთელი იოპან ბოსკამპი ცოცხალი თავით რომ არ აპირებდა საქართველოდან წასვლას...

და „თბილისმა“ დებიუტის წელსვე დაამტკიცა თავისი ნიჭიერება, თავისი ფეხბურთის სილამაზე პირველი წლის პირველ ტურში ახალგაზრდები ბოლნისში „სიონს“ ეფამაშენ. ღირსეულად დაასრულეს პირველი გასვლითი მატჩი ბიჭებმა და 2:2 გაუგორეს ალასა და ფანების სალოცავს — ეს ხმადალად განცხადება გახლდათ.

პირველ ფრეს მეორე ტურშივე მოაყოლეს თბილისელებმა მეორე ამჯერად ისინი „ბათუმს“ დაუზავდნენ და უკვე მართლა ყველამ გაიგო — „თბილისთან“ ქულების წინასწარ დაგეგმვა არავის მოუტადა ხეირს.

კი ერთი დასკვნა გამოვიტანე მას შემდეგ — „თბილისი“ ვაჟკაცი გუნდია, რომელსაც ძალით წაგებული შეხვედრის შემდეგაც კი შეუძლია მეტოქისთვის გამარჯვების მილოცვა...

„თბილისმა“ პირველი წრე აღმავლობით ჩაატარა — მეოთხე ტურში მესამე ფრე ითამაშა „არსენალთან“, მერე კი სამიდან ორი მატჩი მოიგო და ღირსეულად ჩამთავრა საშემოდგომო ჩემპიონატის პირველი ნახევარი.

ორკვირიანმა შესვენებამ (პირველ და მეორე წრეებს შორის) ეტყობა, ცუდად იმოქმედა გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობაზე და ზედიზედ სამ ტურში დამარცხდნენ თბილისელები. სწორედ „სიონთან“, „დინამოსთან“ და „ბათუმთან“ შეხვედრებში გაუშვეს მიღებული ბურთების ლომის წილი მუშლაძის აღსაზრდელებმა — სამ მატჩში თორმეტი გოლი, ეს მეტიმეტი იყო.

მეთერთმეტე ეროვნული პირველი სტადიის ბოლოს ორჯერაც გაიბრძოლა „თბილისმა“ — ჯერ „არსენალს“ მუგოვ, მერე კი „ვიტ ჯორჯიასთან“ ფრედ ითამაშა და...

ასე ითქვა, ნეტა, რა ამოდრავებს „თბილისს“, ეს ყველაფერი ხომ სხვის წიხტილზე ასხამს წყალს. რაც ფეხბურთი დაიბადა, ამგვარი საუბრები მუდამ თან სდევს და საქართველოს ჩემპიონატი ან „თბილისი“ რად იქნებოდნენ გამონაკლისი ვითომ?

დაღა 28 ნოემბერი, დასრულდა მეოთხე ტურის ეროვნული ორწრიანი პირველი სტადია და ახალგაზრდებმაც ამგვარი მონაგარი დაითვალეს — სამი მოგება, ოთხი ფრე, შვიდი მარცხი, ოცდაერთი გატანილი და ოცდათერთმეტი (!) მიღებული ბურთი.

საბოლოოდ, როცა ყველა გუნდის წიწილები დაითვალეს, აღმოჩნდა, რომ „თბილისმა“ გადაუსწრო „სამგურალს“, „ზობს“, „არსენალს“ და თექვსმეტ გუნდს შორის მეცამეტე ადგილზე დამკვიდრდა.

ის კი, დინამოელთა უმცროსი ძმები საუკეთესო რვა გუნდში რომ ვერ მოხვდებოდნენ, უკვე ოქტომბრის ბოლოს, „დინამოსთან“ 0:1 მარცხის შემდეგ გახდა ცნობილი.

რაც შეეხება გუნდის ცალკეულ როგორებს, მონაგარიდანაც ნათლად ჩანს, რომ მეტად კარგად ირჯებოდა „თბილისის“ თავდასხმა — გიორგი მიქაძის, ლევან მელქაძის, ვალერი გაგუას და ლადო ბურდულის თავგამოდებას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ და სხვა ბიჭებმა 21 გოლი გაიტანეს და მხოლოდ „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ჩამორჩნენ, „ლოკომოტივთან“ კი მესამე მეოთხე ადგილი გაიყვეს (ამ მაჩვენებლით). სრულიად საპირისპირო სუ-

რათს ვხვდებით, როცა საუბარი ჩამოვარდება „თბილისის“ დაცვაზე — თბილისელებმა თითხმეტ მატჩში 31 ბურთი გაუშვეს და ამ მაჩვენებლით გვარინად ჩამოიტოვეს ყველა გუნდი.

რა იყო ამდენი გაშვებული ბურთის მიზეზი? მეკარეთა უნიათობა? — არა! მცველთა უნიჭობა? — არა! მამ რა? ხვანჭკარა? — არც ეს! მთავარი გახლდათ ახალგაზრდობა, გამოუცდელია, შეტყევილ ზედმეტი გატაცება.

როდესაც „თბილისი“ იერიშზე გადადიოდა, მისი დაცვითი ხაზის მოთამაშეებიც ერთგვარდნენ შეტევაში, ამდენად ზონებიც მომშვლელი რჩებოდათ და მეკარე სასწაულმოქმედი უნდა ყოფილიყო, მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელს ერთად გამკლავებოდა.

ძალიან ბევრი ბურთი გაუშვეს სტანდარტულიდანაც, განსაკუთრებით ბევრი გოლი კი კუთხურიდან ჩაწოდებულს მოჰყვა — ქართველ მეკარეთა აქილევსის ქუსლი — მაღარ ბურთზე გამოსვლა „თბილისის“ კარის დარაჯთა სისუსტეცაა.

სხვაგვარიც კი ყველაფერი ზომიერად ჩაატარეს ბიჭებმა — მოსაგები მოიგეს, სადაც საბრძოლო იყო, იქ იბრძოდნენ და თავს ზევით ახტომაც არავის მოუთხოვია მათთვის.

ახლა კი „თბილისის“ საწუხარზეც. საერთოდ, ყველა ფარმ-კლუბის საბაზო გუნდის ბედი ესაა — დგება დრო და ძირითად გუნდს მისი რიგებიდან ფეხბურთელები მიჰყავს. „თბილისი“ იქნებოდა, იხვეწებოდა, ოსტატდებოდა და ყველამ იცოდა, რომ მას „დინამოსთან“ უნდა ეარსებოდა.

ასეც მოხდა. დაღა დრო და „დინამომ“ თავისი მოითხოვა. მოითხოვა და მიიღო კიდევ, მომავალი წლიდან კვარაცხელია, აბრამიძე, ქემოკლიძე, ბათიაშვილი, შეიძლება სხვებიც, მარადი ჩემპიონის რიგებში ითამაშებენ.

მაგრამ „თბილისი“ იარსებებს. „თბილისი“ ის გუნდი არაა, ხელები ჩამოყაროს. „თბილისს“ უფლება არა აქვს, გული გაიტყუოს.

ის ხომ ქართული ფეხბურთის მომავალია — ხვალინდელი დღე. ხვალინდელ დღეს კი უიმედობა და ნადვლი არ შეუვნის.

ამონსტანტინე გომიზვილი



„თბილისის“ ბომბარდირს ლევან მელქაძეს ბოლნისის „სიონის“ კარში ბენალტი გააქვს

Table with 4 main columns: Team, Goals, Points, and Goals per game. Lists teams and their performance in the league.

Table with 2 columns: Team name and Score. Lists various football teams and their results.





Coca-Cola WORLD RANKING

Table with 4 columns: Rank, Country, Points, Change. Lists top 50 teams including Brazil, France, and Korea.

პირველ გრაფში მითითებულია ქვეყნების მიერ დაკავებული ადგილები, მეორეში — ნომბრის რეიტინგი...

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მატჩები 1999 წელს

Table with 2 columns: Date and Match Result (e.g., 28.03.99 აშხანაგური მატჩი კორეა 1:0 ბრაზილია).

სულ: 20 თამაში, 14 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, ბურთები 51:18

საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩები 1999 წელს

Table with 2 columns: Date and Match Result (e.g., 20.03.99 აშხანაგური მატჩი საქართველო 0:1 უკრაინა).

სულ: 8 თამაში, 0 მოგება, 2 ფრე, 6 წაგება, ბურთები 6:15



ბრაზილია — მარცხნიდან ღვანან: ჟუნიორ ბაიანო, ტაფარელი, სეზარ სამპაიო, ალდირი, კაფუ, რივალდო...

ვიზაზ თავისი წვერი ქვეყნების ნაკრებთა მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა...

ყოფილა, მაგრამ სტატიისტიკას გამოთვლის საკუთარი მეთოდები აქვს. მეორეა ჩეხეთი...

79-ე ადგილზე იყვნენ, ახლა 55-ეზე არიან. 1998 წლის შემდეგ კი ყველაზე მეტად...



საქართველო — მარცხნიდან ღვანან: ალექსანდრე რეგვიაშვილი, ლევან კობიაშვილი, კახა კალაძე...

რა ქნა საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 1999 წელს? განსაკუთრებული არაფერი...

მის ჩამოსვლა მოჰყვა, მაგრამ ამით რა, ნაკრებმა მის ხელში ჩატარებული ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო...

ახლა, ფიფა თავზე ხელს არავის უსვამს, ყველაფერზე შედეგი მეტყველებს, შედეგი, რომელსაც ქართველები...

ფოტო: ვალერი კოტილიძე



FRANCE Football

ევროპა-20, სამხრეთ ამერიკა-9, კარიბეთი-1, აფრიკა-1...

„ფრანს ფუტბოლის“ წლებადღებულ გამოკითხვაში ორმოცდაათი ნომინანტიდან ოცდათერთმეტმა მიიღო ხმები. აქედან ოცი ევროპელია, ცხრა სამხრეთამერიკელი, ერთი კარიბელი და ერთიც აფრიკელი. პირველი ორეულის (რივალდო, ბექემი) დანარჩენებთან უპირატესობაც საკმაოდ დიდია. ყველაზე მეტი წარმომადგენლები არგენტინას, ბრაზილიასა და გერმანიას ატომოაჩნდათ (4). ინგლისიდან, საფრანგეთიდან და პოლანდიიდან კი ორ-ორი ფეხბურთელი გამოიჩინა. შარშანდელი სამეულებიდან ზინედინ ზიდანიმ მსოფლიო ოთხი ქულა მოაგროვა და მე-20 ადგილი დაიკავა, როინადლომ ორი ქულა „იკმარა“ და 25-ე პოზიციაზე დაშვებულა. დავორ შუკერი კი ორმოცდაათი კანდიდატს შორის საერთოდ ვერ მოხვდა. კლუბებიდან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლაციო“ გამოიჩინენ. ოცდათერთმეტს შორის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდის ექვსი ფეხბურთელი დასახელდა, ორიოთხეულები წარმომადგენელი ჰყავს რომაულ კლუბს.



წლებადღებულ ტრიუმფატორი — რივალდო

306 308...

ეროვნული


ავსტრია	რივალდო	ბექემი	შევჩენკო	ვერონი	რაული
აზერბაიჯანი	რივალდო	მათეუსი	ბექემი	იორკი	მათეუსი
ალბანეთი	ბექემი	რივალდო	კინი	ბატისტუტა	მათეუსი
ანდორა	რივალდო	ფიგუ	შევჩენკო	რონალდო	იორკი
ბელარუსი	რივალდო	ფიგუ	რაული	ბექემი	შევჩენკო
ბელგია	ბექემი	რივალდო	ვიერი	მათეუსი	შევჩენკო
ბოსნია	რივალდო	ბექემი	შევჩენკო	ვიერი	რაული
ბულგარეთი	რივალდო	შევჩენკო	მიხაილოვიჩი	ბექემი	კლაუდიო ლოპესი
გერმანია	რივალდო	ბექემი	მათეუსი	შევჩენკო	ბატისტუტა
დანია	რივალდო	შევჩენკო	ვიერი	ბექემი	მათეუსი
ესპანეთი	რივალდო	ვერონი	კინი	რაული	ფიგუ
ესტონეთი	რივალდო	კინი	ბექემი	ნედვედი	შევჩენკო
თურქეთი	რივალდო	ჟარდელი	ფიგუ	ვერონი	შევჩენკო
ინგლისი	რივალდო	ბექემი	კინი	ბატისტუტა	შევჩენკო
ირლანდია	რივალდო	კინი	შევჩენკო	ბექემი	რაული
ისლანდია	რივალდო	ბექემი	სტამი	იორკი	ფიგუ
ისრაელი	რივალდო	ბექემი	რაული	შევჩენკო	შმაიხელი
იტალია	რივალდო	შევჩენკო	ვიერი	ვერონი	კინი
იუგოსლავია	რივალდო	მიხაილოვიჩი	ბექემი	ვიერი	ბატისტუტა
კვიპროსი	ბექემი	რივალდო	კინი	მიხაილოვიჩი	მათეუსი
ლატვია	რივალდო	შევჩენკო	ბექემი	ფიგუ	ნედვედი
ლიტვა	ბექემი	რივალდო	შევჩენკო	ვერონი	ბატისტუტა
ლიხტენშტაინი	იორკი	ეფენბერგი	შევჩენკო	კრესპო	შმაიხელი
ლუქსემბურგი	ბექემი	რივალდო	ბასლერი	ვერონი	კოული
მაკედონია	რივალდო	ბექემი	ბატისტუტა	ვერონი	შევჩენკო
მალტა	რივალდო	კინი	ზიდანი	ბატისტუტა	შევჩენკო
მოლდოვა	რივალდო	ბექემი	ბატისტუტა	ზაპოვიჩი	შევჩენკო
ნორვეგია	რივალდო	ბექემი	ბატისტუტა	რაული	ბირჰოფი
პოლონეთი	ბექემი	რივალდო	რაული	ვერონი	ფიგუ
პორტუგალია	რივალდო	ფიგუ	ბექემი	ვერონი	ჟარდელი
რუმინეთი	რივალდო	ბექემი	ბექემი	ვიერი	ბატისტუტა
რუსეთი	რივალდო	ბექემი	შევჩენკო	ვერონი	ეფენბერგი
საბერძნეთი	ბექემი	რივალდო	გიგზი	იორკი	მათეუსი
სან მარინო	რივალდო	რაული	ვიერი	ფიგუ	დავიდსი
საფრანგეთი	რივალდო	ბატისტუტა	ვიერი	შევჩენკო	ბექემი
საქართველო	რივალდო	ფიგუ	ბატისტუტა	კინი	ბექემი
სლოვაკეთი	რივალდო	ბექემი	ბატისტუტა	ფიგუ	სტამი
სლოვენია	ზაპოვიჩი	რივალდო	სტამი	ბექემი	რაული
სომხეთი	ბექემი	ბატისტუტა	რივალდო	ვიერი	შევჩენკო
უელსი	კინი	შევჩენკო	ბექემი	რივალდო	ბატისტუტა
უკრაინა	ბექემი	რივალდო	მიხაილოვიჩი	შევჩენკო	რობერტო კარლოსი
უნგრეთი	ბექემი	ბატისტუტა	ვიერი	მათეუსი	ჟინოლა
ფარერები	ბექემი	რივალდო	ვიერი	კანუ	ზიდანი
ფინეთი	რივალდო	ვიერი	ბექემი	რაული	ბატისტუტა
შვედეთი	რივალდო	ბექემი	ბირჰოფი	ვერონი	შევჩენკო
შვეიცარია	ფიგუ	რივალდო	შმაიხელი	ვერონი	ჟარდელი
შოტლანდია	ნედვედი	ბატისტუტა	კინი	იორკი	ჟარდელი
ჩეხეთი	ბექემი	რივალდო	ბატისტუტა	რაული	მათეუსი
ჩრდ. ირლანდია	რივალდო	შევჩენკო	ბექემი	ბატისტუტა	კინი
ხორვატია	სტამი	რივალდო	ვერონი	ზაპოვიჩი	სალასი
პოლანდია	ბექემი	რივალდო	ვერონი	რაული	სტამი

„ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის საბოლოო შედეგები

1	რივალდო	ბრაზილია	ბარსელონა	219
2	დევიდ ბექემი	ინგლისი	მანჩესტერ იუნაიტედი	154
3	ანდრეი შევჩენკო	უკრაინა	მილანი	64
4	გაბრიელ ომარ ბატისტუტა	არგენტინა	ფიორენტინა, ფლორენცია	48
5	ლუიზ ფიგუ	პორტუგალია	ბარსელონა	38
6	როი კინი	ირლანდია	მანჩესტერ იუნაიტედი	36
7	კრისტიან ვიერი	იტალია	ინტერი, მილანი	33
8	ხუან სებასტიან ვერონი	არგენტინა	ლაციო, რომი	30
9	რაული	ესპანეთი	რეალი, მადრიდი	27
10	ლოთარ მათეუსი	გერმანია	ბაიერნი, მიუნხენი	16
11	დუაიტ იორკი	ტრინიდადი და ტობაგო	მანჩესტერ იუნაიტედი	14
12	იპ სტამი	პოლანდია	მანჩესტერ იუნაიტედი	13
13	სინიმა მიხაილოვიჩი	იუგოსლავია	ლაციო, რომი	12
14	ზლატკო ზაპოვიჩი	სლოვენია	ოლიმპიაკოსი, პირეოსი	9
15	პაველ ნედვედი	ჩეხეთი	ლაციო, რომი	8
16	მარიო ჟარდელი	ბრაზილია	პორტუ	7
17	პეტერ შმაიხელი	დანია	სპორტივგი, ლისაბონი	6
18	შტეფან ეფენბერგი	გერმანია	ბაიერნი, მიუნხენი	5
19	ოლივერ ბირჰოფი	გერმანია	მილანი	4
20	ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი	იუვენტუსი, ტურინი	4
21	მარიო ბასლერი	გერმანია	კაიზერსლაუტერნი	3
22	რაიან გიგზი	უელსი	მანჩესტერ იუნაიტედი	3
23	ნვანკო კანუ	ნიგერია	არსენალი, ლონდონი	2
24	ერნან კრესპო	არგენტინა	პარმა	2
25	რონალდო	ბრაზილია	ინტერი, მილანი	2
26	ედგარ დავიდსი	პოლანდია	იუვენტუსი, ტურინი	1
27	დავიდ ჟინოლა	საფრანგეთი	ტოტენჰემი, ლონდონი	1
28	კლაუდიო ლოპესი	არგენტინა	ვალენსია	1
29	ენდი კოული	ინგლისი	მანჩესტერ იუნაიტედი	1
30	რობერტო კარლოსი	ბრაზილია	რეალი, მადრიდი	1
31	მარსელო სალასი	ჩილე	ლაციო, რომი	1

ამათ გარდა ლაურეტა შორის წინასწარი გამოკითხვის შედეგად 19 ფეხბურთელი მოიხსენიებოდა, მაგრამ მათდა სამწუხაროდ ქულაც კი ვერ მოიპოვეს. უილბლონი: ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი, მონაკო), დენის ბერესკამპი (პოლანდია, არსენალი), ლორან ბლანი (საფრანგეთი, ინტერი), ჯანლოიჯი ბუფონი (იტალია, პარმა), სილვენ ვილტორდი (საფრანგეთი, ბორდო), ხოსე გვარდიოლა (ესპანეთი, ბარსელონა), ფრენკ დე ბური (პოლანდია, ბარსელონა), მარსელ დესაი (საფრანგეთი, ჩელსი), ჯანფრანკო ძოლა (იტალია, ჩელსი), ფილიპო ინძაგი (იტალია, იუვენტუსი), პატრიკ კლუივერტი (პოლანდია, ბარსელონა), პაოლო მალდინი (იტალია, მილანი), ფერნანდო მორინტესი (ესპანეთი, რეალი), ჰიდეტოში ნაკატა (იაპონია, პერუჯა), ემანუელ პეტი (საფრანგეთი, არსენალი), გუსტავო პოივტი (ურუგვაი, ჩელსი), ლილიან ტურამი (საფრანგეთი, პარმა), ალექსანდრ შოკოვსკი (უკრაინა, დინამო კიევი), ჯოვანი ელბერი (ბრაზილია, ბაიერნი)

სანტაკლავსად



მერი პრისტიმას, ბავშვებოთ, შობა მოდისო და მიხაელ შუმახერიც (მარჯვენა ფოტო) ცოტახნით გარდასახულა სანტაკლავსად, რათა თავისი გუნდის „ფერარის“ თანამშრომელთა შვილებისათვის სანუქრები ჩამოერიგებინა. „ფერარის“ პრეზიდენტ ლუკა დი მონტემელოს დიდი საშობაო ამბავი გაუმართავს მარანელის ფაბრიკაში. იტალიაში ვართ და მილანისკენაც გავიხედოთ. შობას „ინტერის“ ფეხბურთელებიც ელიან. კრისტიან ვიერიმ კი იცის, რომ ბოლო ხანს მისი „ინტერი“ ცუდად თამაშობს, მაგრამ დღესასწაული არ უნდა წახდეს.




ეროვნული გიგანტობა

დევისოგა მეღბურნი

ავსტრალიაში დევისის თასის მოგებას ზეიმობენ. ფრანგთა მმუსერელი გუნდის კაპიტანი, ლეგენდა-კაცი ჯონ ნიუკომბი მეღბურნელებს ესალმება. ამ ზეიმში დიდი ავსტრალიელი ვეტერანებიც გარეულან და ხალხისთვის გაუხსენებიათ. გახსოვდეთ, ჩოგბურთი ვისთვის გამოუგონია ღმერთსო.

განსაკუთრებული პატივი კი ფრანგებთან ბრძოლაში გამწვევები სიტყვის მთქმელ მარკ ფილიპუსის რგებია.



აბა, სხვა ვინ?

აბაში მოულოდნელი არაფერია. ეგებ დიეგო მარადონამ თოფიც კი ესროლოს არგენტინელ უურნაღისტებს, მაგრამ ისინი სიმართლეს ვერ გაეცევიან და თავიანთი ქვეყნის საუკუნის სპორტსმენად სწორედ მას დაასახელებენ... ჯილდოს მისაღებად კი დიეგო ქალიშვილებთან, იანინასა (მარჯვნივ) და დალმასთან (უკან) ერთად მისულია.



პელე კლანატოში

საშპენის სპორტსმენად რომ პელე აღიარეს, კარგახანია ცნობილია. ეს ამბავი ბრაზილიაშიც შუეტყვიათ და იმათ პრეზიდენტს ფერნანდუ ენრიკე კარდოსოს თავის სასახლეში, პლანალტოში მიუწვევია ედსონი, რომელიც, რა დასამალია და, არ ბერდება.



სარბიელი
სკორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონცხვირია
ლირექტორი გიორგი ოპროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრაიანი
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია პაპუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი მასტანბ ბზიპაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიანი
ტექნიკური რედაქტორი ბურაკ ნელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე
გვიგენი, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტა-

ლიანი, ზვირა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი ღარჯანია,
გიორგი ვაშაყიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია
ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიონ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე;
კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბეკაშვილი,
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები
გურამ დოღვერაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები
მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გონალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა ლევაძე,
მაგდა დღურაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი,
ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარია ტაბიძე, თენგიზ
ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, 11
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.opentext.org.ge/sarbili>